ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 262
კვირა, 2 დეკემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12. . . | 10 | — | 6 . . . . | 6 | — |
| 11. . . | 9 | 50 | 5 . . . . | 5 | 50 |
| 10. . . | 8 | 75 | 4 . . . . | 4 | 75 |
| 9. . . | 8 | — | 3 . . . . | 3 | 50 |
| 8. . . | 7 | 25 | 2 . . . . | 2 | 75 |
| 7. . . | 6 | 50 | 1 . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

# ივერია

№ 262
კვირა, 2 დეკემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## „ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

**გადიდებული ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა,**
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

თან-და-თანიბითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარემოება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ გვაძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი ადგილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს გავადიდოთ გაზეთი და გავხადოთ იმოდენა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკითხველს მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს სალიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად აღნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუნდა რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ.

### ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისში:

**„ივერიის“ რედაქცია,**
ნიკოლოოზის ქ. № 21.

**ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიიდგან,**
სასახლის ქ. ბანკის ქარვასლა,

**ქუთაისში**—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში,
**ბაქოში**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩა, ლანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ. **ტელეფონი № 227**

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

---

იაფ-ფასიანი წარმოდგენა
**ქართული თეატრი**
კვირას, 2 დეკემბერს, 1901 წ.
**ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ**
გამართული იქნება:
**იაფ-ფასიანი წარმოდგენა**
I
## მეორედ გაყმაწვილება
დრამა 4 მოქმედ. გადმოკ. თავ. დავით ერისთავისაგან.
II
## არკადიას სადილი
სცენები 2 მოქ. ქარვასლის ნოქრების ცხოვრებიდგან, ნ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი და სხ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, გოცირიძე, საფაროვი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები დაკლებულია: გალერეია 20 კაპ. პარტერი 50 კაპ. ლოჟები 3 მ. შეგირდებისათვ. კუპონები 60 კაპ.

მზადდება **ა. ქარგარეთელის საბენეფისოდ** ვლად. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით **„პატიოსნება“.**

(2—უ.—2)

რეჟისორი ვ. გუნია

---

გამგეობა **ბურიის** ამხანაგობისა
## „შუამავალისა“
აცხადებს, რომ 16 დეკემბერს 1901 წ., დილის 10 საათზედ ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში დანიშნულია **საზოგადო წლიური კრება** ამა ამხანაგობის წევრთა.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) მიღება წესდებისა, შედგენილი ნორმალურ წესდების თანახმად. 2) წარმომადგენლობითი კრების შეცვლა ჩვეულებრივ, ყოველ-წლიურ წევრთა კრებად. 3) განხილვა და დამტკიცება მმართველის მოხსენებისა და 1898, 1899, 1900 და 1901 წ.წ. ანგარიშისა. 4) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1902 წლისათვის. 5) გაუქმდეს თუ არა სახვევ-საქსოვი ქარხანა. 6) მიღება იმ წევრებისა, რომლებიც გამორიცხულნი არიან წილის ფულის შეუმსებლობის გამო. 7) განხილვა თხოვნებისა, შემოტანილის იმ პირთაგან, რომელთაც ბ-ნ კ. თავართქილაძესთან წილის ფული შემოუტანიათ, წილის ბარათიც მიუციათ და არსად მოხსენებულნი არ არიან. 8) შეცვლა 18 თებერვლის 1900 წლის წარმომადგენელ წევრთ დადგენილებისა წილის ფულის გადიდების შესახებ. 9) მიღება წევრის იპლიკჩოლლისა, რომელიც იმავე კრებამ არ მიიღო. 10) ახალ წევრთა და იმ წევრთა მიღება, რომელთაც წილი სხვისგან შეიძინეს. 11) გადიდება საბრუნავ თანხისა. 12) გადარიცხვა სათადარიგო და სხვა თანხებისა, ზარალის დასაფარავად. 13) გრენის ყიდვა. 14) არჩევა სამის წლით ერთის გამგე-დირექტორისა და გამგეობის ორის წევრისა. 15) არჩევა ზედამხედველის კომიტეტისა ანუ რჩევის წევრთა. 16) არჩევა ერთის წლით სარევიზიო კომისიის წევრთა.

ვისი ადრესიც არა აქვს გამგეობას, იმათ ცალკე მოწვევის ბარათი არ გაეგზავნებათ.

მმართველი ს. ქეიშეილი.

(5—6.—1)

---

## პირველი კერძო სამკურნალო
**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.
**დილაობით:**
**ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს.**

---

## ფელეტონი

—

### მასლაათი.

ჩვენებურ პოლემიკის გამო.

> „საამიკოდ სალაღობოდ,
> ამხანაგთა სათრევლად“.
> რუსთველი.

მშვენიერს და მომხიბლავს გასარ-
ობს წარმოადგენს დღევანდელი
ნი პრესა! მე რომ მკითხოთ,
რკსა და სამხეცეთში წასვლა,
უნდა თეატრშიაც სიარული სრუ-
ად მეტია. აილე ქართული გა-
თი და უკეთესს გასართობს რა-
ნახავ. აგერ ერთ თვეზედ მე-
, რაც, სულ უბრალო მიზეზის
ო, ასტყდა ერთი უშველებელი
-ზაური, გაჩაღდა პოლემიკა და
წყო გაუთავებელი შეხლა და
ვაგლახი. ყველა ამ სასიამოვნო
ქერელს შეჰყურებს და ხილვით
ბება! მაინც ქართველი ბრძო-
ში ჟინიანი ყოფილა და პოლე-
შიაც ხომ ეგეთი უნდა იყვეს.
ჟინიანობას ჯანი და ღონე გა-
დეს. სადარდელი ის უფრო შე-
, რომ ზოგს საპოლემიკო ქავილი უცნაურ სენად გარდაქცევია და თუ ერთი საკამათო ხურუში აეშალა—მორჩა და გათავდა!... ჯაჭვითაც რომ დაბა, მაინც აიწყვეტს და თავისას გაიტანს. კიდევ კარგი, თუ საპოლემიკო საგანი იმად ღირს, რომ კაცმა ჯაფა და ძალა ზედ შეალიოს, მაგრამ გარწმუნებთ, აწინდელი ჩვენებური პოლემიკა ჩვენებურსავე ანდაზას მიაგავს,—ჩიტი ბდღვნად არ ღირდა და დევნა მეტი იყოვო.

ვეჟო, კაცმა კრებაზედ სთქვა, რომ კავკავის სკოლაში უწესოება არსებობსო. მერე ისეთი ამითი რა დაშავდა, რომ ადგნენ და მორთეს ერთი დაუსრულებელი დავი-დარაბა! კავკავის ქართველობაც სალაშქროდ ემზადება და დარიალის ვიწროებს მალე გადმოლახავსო! ვინც ჩვენი ზნე და ხასიათი იცის, ის ყველას უნდა მოელოდეს. შეიძლება მთელი ძურძუკეთიც შეიძრას. აბა სეირი მაშინ იქნება, როცა ალყით შემოერტყმიან პროტესტანტს პედაგოგს და იერიშით მივლენ! მაგრამ, ღვთის წინაშე, ლახტის ქნევა იმასაც კი ემარჯვება! დიაღ, ჯერ კიდევ ბევრს კალამს მოსტყდება წვერი და ბევრი მელანი დაიღვრება, ვიდრე საპოლემიკო ჟინსა და ქავილს ბოლო მოეღებოდეს. რას ვიზამთ?—ჩვენი უბადრუკი ყოველდღიური პრესა საქმე გამოლეულია და თუ გულის მოსაფხანი იპოვა რამე, მაშინ ზომა და საზღვარი არ იცის. ეს პრესა ისე დაკნინდა, რომ პოლემიკამ დიდი ხანია თავისი მოვალეობა დაჰკარგა და ჯამბაზობად გარდაიქცა. აკაკის სიტყვისა არ იყვეს, შეჯდება ასეთი ჯამბაზი კუდაბზიკა ლიბერალობაზედ და უგზო-უკვლოდ მიაჭენებს—ვინ იცის—სად და რისთვის!.. ბატონო, ყოველ მოღვაწეს, თუნდ იგი დიდადაც დამსახურებული იყვეს, პატივი აჰყარეს. გამოიყვანენ სალაყბოზედ და მეზობლებიც იცინიან, ხარხარებენ. თუ თქვენი ჩინებული კაცი ეგეთია, სხვანი რა იქმნებიანო... და უხარიანთ გულში! მე აბა ვინ რას მკითხავს, მაგრამ რაც თქვენ მაგ ბერიკაობით და ტაკიმასხარაობით მოიგოთ, მე ნუღარ გამიყოფთ!..

◆

იქმნება იფიქროთ, პოლემიკა ჩვენს ლიტერატურაში ახალი ხილია და ამიტომ საკვირველიც არ უნდა იყვეს, რომ გზასა და კვალს უხვევს და ჰლამობს ტაკიმასხარაობად გარდაიქცესო. არა, პოლემიკა ძველთაგან ძველი დარგია. აი მოკლე ისტორიული ექსკურსიაც ჩვენის აზრის დასამტკიცებლად.

იმ დროს, როცა ჩვენი მწიგნობრობა დაარსდა, ეგრედ წოდებული „პაექრობაც“ გაჩნდა. მაშინ მარტო საღმრთო და საეკლესიო მწერლობა სუფევდა, მაგრამ ხშირი იყო პოლემიკა. ეკლესიის მსახურნი და წმიდა მამანი მუდამ ეკამათებოდნენ მწვალებლებს და მთელი ხელთნაწერები მოიპოვება ასეთის საპაექრო ვარჯიშობისა. ხშირად ამ ხელთნაწერებშიაც მკვახე სიტყვებია ჩართული, წყევა და კრულვაც საკმაოა, მაგრამ მაინც კამათობას და ქიშპობას წინ რაიმე ზნეობრივი და დოგმატიური მთავარი აზრი მიუძღვის. აწინდელი პოლემიკა-კი უმეტესად მარტო პირადობაზედ არის აშენებული! განსხვავება დიდია... ამ განსხვავებას ვრცლად აღვნიშნავდით, მაგრამ ვუფრთხით,—ვაი თუ ამ ქორიკანობის დროს ვინმე კუდაბზიკა ლიბერალობაზედ შეჯდეს და „კლერიკალიზმი“ თავზედ მოახვიოს „ივერიას“?...

საერო ლიტერატურას რომ მივმართოთ, აქ მთელ საპოლემიკო ხანას შევხვდებით. საშუალო საუკუნეების ქართული ლიტერატურა მეტად მისდევდა საპოლემიკო კილოს და იმ დროის საუკეთესო თხზულებანი სწორედ ასეთის კილოთი არიან დაწერილნი. აიღეთ, მაგალითებრ, მეჩვიდმეტე საუკუნე და მაშინდელნი შესანიშნავი ლიტერატორნი—თეიმურაზ და მეფე არჩილ. იმათ პოეტურ ქნარში პოლემიკური ფორმა ისრე გაბატონებულია, თითქო მიუცილებელს საჭიროებას შეადგენსო. თეიმურაზ მეფე ისე კალამს ხელში არ აიღებს, რომ ორ საგანსა თუ არსებას შორის ცილი და ქიშპი არ ასტეხოს და ერთმანეთს არ წაჰკიდოს, არ შეატაკოს. წაიკითხეთ იმისი „გაზაფხული და შემოდგომა“, „სანთელი და პეპელა“, „დღე და ღამე“ და სხ. თვითოეულ ამ ნაწარმოებში, თავიდგან ბოლომდე, გაცხარებული კამათია და ერთმანეთის ცილი და შუღლი, რასაკვირველია, კალმით და სიტყვით... თეიმურაზ მეფე კაეშნით შეპყრობილი იყოო და „გასართობად“ სწერდაო. ვინ იცის, იქნება აწინდელი პრესაც კაეშანით, ანუ კიტასებურად—„პესიმიზ-

სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.**

**Тифлисъ, противъ памят. Воронцову.**

ექიმი

**იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი**

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. აქვს შესახვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—2).

მკურნალი

**მიხეილ გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი პაგიპაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**ს. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

**გ. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე** ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი** — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**ქ. მ. ელიოზიშვილი.** —შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

**ქართველთა ქალთა ამხანაგობის**

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს:** კაბებს, თეთრეულს, ქარგვას დ საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—14)

# ახალი ამბავი

⁂ დღეს, 2 დეკემბერს, ქართულ თეატრში იაფ-ფასიანი წარმოდგენაა დანიშნული. წარმოადგენენ ორ პიესას: „მეორედ გაყმაწვილებას“, დრამას 4 მოქ. და „არკადიას სადილს“ სცენას 2 მოქ. ქარვასლის ნოქრების ცხოვრებიდგან. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

⁂ გუშინ, 1 დეკემბერს, ტფილისის საბჭოსადმი წარსადგენად ტფილისის წყლის მილის 30 მეონკანემ საერთო განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, თავიანთ განცხადებაში ისინი სთხოვენ ქალაქის საბჭოს, რომ ყურადღება მიექცეს მათ მდგომარეობას, მეტი გასამრჯელო ენიშნებოდეთ, რადგანაც თითოეული მათგანი თითქმის ეს 13 წელიწადია მსახურებს 16—25 მანეთად თვეში, მაშინ, როდესაც შრომა კი ბევრი აქვთ, ასე რომ დღე-ღამეში 10—12 საათსა მუშაობენ. მეონკანეები უცხადებენ, რომ მათი საშრომი იმდენად მცირეა, რომ მითი ერთს კაცსაც ძლივს შეუძლიან თავი გაიკვებოს,

⁂ ქუთაისის მაზრაში სოფელ ტყიბულში ბ-ნ ილია ჭიჭინაძეს განუზრახავს შეადგინოს მეფუტკრეობის ამხანაგობა, რომელშიაც მონაწილეობის მიღება ბევრს განუცხადებია. ამხანაგობის წესდების შესამუშავებლად ბ-ნი ჭიჭინაძე სთხოვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას უჩვენოს ასეთ საზოგადოებათა წესდებანი სანიმუშოდ, რომ ისარგებლონ ამხანაგობის წესდების შედგენის დროს.

⁂ 30 ნოემბერს სხდომა ჰქონდა ტფილისის გამგეობას, რომელზედაც ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ სთქვა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი განცხადება შემოდის გამგეობაში ტფილისის ზოგიერთ მცხოვრებთაგან, რომელნიც თხოულობენ, მიეცეთ მათ ქალაქის ქუჩების ანბანთ რიგზე დაბეჭდილი სია. როგორც განხილულ ცნობებით სჩანს, 1899 წ. დაბეჭდილი სიები უკვე გამოლეულა, ამიტომ გამგეობამ გარდასწყვიტა—დაავალოს გამგეობის მდივანს, შეავსოს 1899 წლის სია, და რომელიც შესწორებული უნდა დაიბეჭდოს გამგეობის ხარჯით და დაურიგდეს მსურველთ.

⁂ 29 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე თავ. აკაკი ლორთქიფანიძისა და აგაპო ერისთავისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ თავიანთ მეზობელ თავ. ერისთავის მოკვლის განზრახვა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს აქ საქმეში დამნაშავედ უცვნია აკაკი ლორთქიფანიძე და გარდაუწყვეტია სამის თვით საპყრობილეში დაპატიმრება, ხოლო აგაპო ერისთავი გაუმართლებია. ბრალმდებელის პროტესტით საქმე განიხილა პალატამ, აგაპო ერისთავი გაამართლა, ხოლო აკაკი ლორთქიფანიძეს გარდაუწყვიტ[illegible] ტიმრება.

ეროვნული

⁂ ვარანცოვის მოედანზე დ მადათოვის კუნძულზე მოვაჭრეებმ ერთი ცუდი და მავნე ჩვეულებ შემოიღეს ამ ბოლოს ხანში: აჰკი დებენ მუშებს ნეხვითა და სიბინ ძურით ავსებულს ტომრებსა დ თავ-ახდილ ყუთებს და ხიდიდა მტკვარში აყრევინებენ.

მდინარეთა კალაპოტების სიწმინ დე ერთი უსაჭიროესი პირობათა განია ქალაქთა მცხოვრებლების ჯან-მრთელობისათვის. ყოველგან, სადაც-კი ხალხის ჯანმრთელობ აბუჩად არ არის აგდებული და სა სანიტარო კომისიები საქმის გასა კეთებლად არსებობენ და არა ქა ღალდის დასაშვენებლად, უაღრეს ყურადღება აქვთ მიქცეული მდი ნარეთა ნაპირებისა და კალაპოტი სიწმინდისათვის; ტფილისში-კი, ეტ ყობათ, ჯერ არ მომწიფებულან საიმისოდ.

ცისმარე დღე, გათენებიდან დ ღამებამდე და, ხშირად, დაღამებ დან გათენებამდისაც, ისეთს ცოც ხალს ადგილას, როგორიც კუკიი ხიდია, ნეხვს და სიბინძურეს მდი ნარეში ჰყრიან და დამშლელი-კ არავინ არის! მარჯვენა ტოტ მტკვრისა, მადათოვის კუნძულს და სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ შუა, ისე ამოვსებულა ნეხვით, რომ წყალ-მლრივობის დროსაც-კი ად ვილად დაინახავს ხიდზე გამვლე ლის თვალი...

აუცილებლად საჭიროა ქალაქი სასანიტარო კომისიამ და პოლი ციამ ეხლავე მიაქციონ ამ გარე მოებას ჯეროვანი ყურადღება და რაც შეიძლება მალე, ააცილო ქალაქს თვაიდან გადამდებ სენი გავრცელების ერთი მიზეზთაგანი...

⁂ ხონიდან გვწერენ, რომ იქ ურის სემინარიის გვერდით „მოხვე ული გზა“ ერთობ გაფუჭებული ხშირად. მოსწავლე ბავშვები მუ ლამდი იფლობიან ტალახში, ხში რად ცივდებიან და სნეულდები კიდეცაო.

---

მით“ იყვეს შეპყრობილი, რომ პოლემიკა ასე გახშირდა და „გასართობად“ გარდაიქცა!

არჩილ მეფის ლიტერატურულ ნაწარმოებსაც საპოლემიკო ფორმა ამჩნევია. იმის „არჩილიანის“ პირველი ნაწილი ნამდვილი პოლემიკაა. თქვენც მოგეხსენებათ, რომ იქ თეიმურაზ მეფე რუსთველს ეკამათება და შიგა და შიგ მკვახე სიტყვებითაც ამკობს. ასე გასინჯეთ, დიდებულ მესხს უზრდელობასაც კი უკიჟინებს!.. პოლემიკით გატაცებული ავტორი თეიმურაზს რუსთველზედ მაღლა აყენებს... ეს სულ ერთია, საქმე მხოლოდ ისაა, რომ არჩილ მეფეც საპოლემიკო ფორმის მიმდევარია. არც შემდეგ დაჰკარგვია ამ ფორმას პატივი და დიდება. რაიცა შეეხება საერო ანუ სახალხო ნაწარმოებს, ყველას ეცოდინება, თუ რა ხმარებაშია „შაირი“, რომელიც პოეტურს პოლემიკას წარმოადგენს, თუმცა ეროტიულ ხასიათისას. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ პოლემიკა ჩვენს მწერლობაში ახალი ხილი არაა, თუმცა აწინდელი პოლემიკა მაინც ახალი ხილია...

◆ ◆

აწინდელი საპოლემიკო დაკნინება და დაუძლურება პირდაპირი შედეგია საზოგადოდ ლიტერატურისა და ცხოვრების სისუსტისა. ლიტერატურასა დ ცხოვრებაში აღარ მოიპოვება მაღალ აზრთა დ კეთილ-შობილთა გრძნობათა ფრენა და ღელვა. როგორც აზრსა, ისე გრძნობას ქვეყნიური, „პრაქტიკული“ მწიკვლი მიეცხო და ამიტომ ერთიცა და მეორეც შეილახა. ჩვენმა აწინდელმა ინტელიგენციამ თითქო ზურგი შეაქცია იდეალთა და იდეათა სამეუფოს, სამოც წლების ანდერძი თითქო უარჰყო და სათაყვანებელ საგნად, სალოცავ კერპად „ცხოვრების სიბრძნე“ აღიარა. ახლა კაცი ის არის, ვინც იდეალს არ ეტრფის და მხოლოდ „ცხოვების სიბრძნეს“ მისდევს და იმის ბომონს მოწიწებით ემსახურება. თუნდ ნიჭითა და სწავლით ცაში ვარსკვლავებს ეთამაშებოდე, მაინც კაცად არ გცნობენ, თუ შენის თავისთვის არა ხარ. შენს თავს თუ არ არგიხარ, სხვას რაღა უნდა არგო,— აი კაცურ ღირსების აწინდელი საზომავი! მერე იცით, რამდენი ინტელიგენტი დაადგა ამ „ცხოვრების სიბრძნეს“ და რამდენმა უკუ აგდო იდეალი. ზოგი ნავთის სამეფოში დასახლდა, ზოგი შავის ქვისაში, ზოგი კიდევ პლუტოკრატიის ტაძარში. ერთის სიტყვით, ყველა მარჯვე და ხელმარდი გამომცხვარ ქადას მოუჯდა. ინტელიგენტური წრე, შეგნებული საზოგადოება აზრით და გრძნობით გაღატაკდა და ამას ზედ მოჰყვა ლიტერატურული სიცარიელე. საქვეყნო და საფილოსოფოსო საკითხი ახლა თითო-ოროლას თუ ახალისებს, თორემ უმრავლესობას სასაცილოდაც არ ჰყოფნის. იმას ვამბობდით, ღარიბს და ნაილაჯ ლიტერატურას და კერძოდ პუბლიცისტიკას უაზრო და უმნიშვნელო პოლემიკა თან დასდევს. არ უნდა დაივიწყოთ, რომ თვით ლიტერატურული ნიჭიც დახურდავდა, დაქუცმაცდა. და თუნდაც განრისხდნენ, მაინც ვიტყვით, რომ ჩვენს ლიტერატურას ისევ ძველნი, სამოც წლების მოღვაწენი, ამშვენებენ, ისინი თუ ემსახურებიან იდეალს. აწინდელმა კრიტიკამ, რაც უნდა ბევრი იყვიროს—ამადა-ამ ახალმა ლიტერატორმა აი ესა და ეს ახალი სკოლა შექმნა და დაარსაო, მაინც არავინ დაიჯერებს.

სიახლე ჩვენს ლიტერატურას არა ეტყობა-რა, გარდა მიბაძვისა და მიბაძვა ხომ შემოქმედება არაა და საკუთარს სკოლას არ ჰბადავს.

წინადაც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ ჩვენი ცხოვრება უაზრო და უშინაარსოა. თუ მკითხავთ, ჩვენ თვით „შინაც“ არ მოგვეპოვება, ნამდვილი „შინაური საკითხი“ არ მოგვეძევება. რა „შინაური საკითხი“ უნდა იყვეს იქ, სადაც შენ არას გკითხვენ, სადაც, მთელ წლობით, დღე დღესა ჰგავს და ღამე ღამეს და სადაც უსაზრდოობით ცხოვრება უნებლიედ ჰლექდება. ასეთს პირობაში ყოველდღიური პრესა ფრთებს ვერასოდეს ვერ გაშლის. ამიტომაც სულ უბრალო სკანდალიური წვრილმანობა ზეციურ მანანად მოევლინება ხოლმე ჩვენს დამშეულს პრესას და საკმაო ასეთი წვრილმანობა, რომ გაჩაღდეს დაუსრულებელი საპოლემიკო ბურთაობა და ასტყდეს პიროვნების გლეჯა და თრევა.

◆ ◆

რაკი ყოველდღიური პრესა ჯეროვანს საზრდოს ვერ ჰპოვებს ცხოვრებაში, პოლემიკაც პრინციპიალურს ხასიათს მოკლებულია. მეტად იშვიათად თუ შეხვდები პოლემისტებს ხმლად და ფარა რაიმე საზოგადო აზრი ჰქონდე საპოლემიკო ბრძოლა უფრო უმნი ვნელო წვრილმან ფაქტის ნიად ზედ სწარმოებს. ეს ხომ ასეა, მაგ რამ აღსანიშნავი უფრო თვით ბრძოლის ხერხია, პოლემიკის ტე ნიკური მხარეა. რაც უნდა იყვე პოლემიკას მაინც საგნად სიმა თლის გამოკვლევა აქვს. მაგრა ჩვენში ამას როდი დაგიდევენ,— საქმე ისაა, როგორმე მოწინაა დეგე დაამარცხო და დაჯაბნო პოლემიკა ჭიდაობად წარმოუდგ ნიათ და სხვა-და-სხვა ქამანდსა მოგვერდს არ ერიდებიან, ოღონ კი ძლევა-მოსილება დარჩეთ. ს პოლემიკო ითიკა ისრე გათახსირ ბული და დაცემულია, რომ არ ერთს თაღლითობას და ოინბაზო ბას აღარ უფრთხიან და ყოველ გვარ ყომარბაზულ საშუალებ მისდევენ. აზრის გადასხვაფერე სიტყვის ბანზედ აგდება, ყალბ ალაგის ამოწერა და სხვა ამ გვა ხერხი და ხრიკი ჩვეულებად გა დაქცეულია. ამის გამო საკამათ საგანი სრულიადაც არ ირკვე და მთელი პოლემიკური ვარჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენტის სიტყვით გზის შეკეთებას ისიც აბრკოლებს, რომ დაბასა და სოფელს შუა დავაა გამართული, — ვისი გასაკეთებელია გზა, დაბა ხონის, თუ სოფელ ხონის მმართველობისაო?..

⁂ სიღნაღიდამ გვატყობინებენ, რომ აქ, 25 ნოემბერს, ცეცხლი გაუჩნდა ედიგაროვის ფარჩეულობის მაღაზიას. თვით ედიგაროვი იმ დროს ტფილისს ყოფილა და მის შვილებს ქეიფი მოსდომებიათ. გაუჩაღებიათ მაყალი, დაუშიშხინებიათ მწვადები და ზედაც კახური დაუყოლებიათ. დამთვრალან. დაუკეტნიათ დუქანი და წასულან, როგორც ეტყობა, მაყალიდგან გაჩენილა ცეცხლი და ორი ათასამდე თუმნის საქონელი გადაბუგულა.

⁂ მოგეხსენებათ, რომ ტფილისში ავლაბარი „მკითხავების“ ბუდეთ ითვლება თუ. საიდანმე შემოვიდა ტფილისში ახალი მკითხავი-უსათუოდ ავლაბარში ამოჰყოფს თავს, რადგანაც იქ უფრო ისარგებლებს. იქ ბევრმა მკითხავმა მოითბო ხელი საწყალი დაბალი ხალხისაგან: ოსანამ, აბაშიმ, „გამოჩენილ“ მეჩექმემ და ბევრმა სხვამაც. ერთი ახალი მკითხავი ეხლაც მომატებია ავლაბარს, ეს მკითხავი მანდილოსანი გახლავსთ, ამ ცოტა ხნის წინათ სოფლიდან ჩამოსული. ამ მოკლეს დროის განმავლობაში მას ისე განუთქვამს სახელი, რომ დღეს მთელი ქალაქის მდაბიო ხალხის ცოლები და ქალები სულ მას ეხვევიან თავზედ. სახელად ამ მკითხავს ხალხში „ახალი მკითხავი“ ეწოდება. საკვირველი არის, რომ ქალაქშიაც ასე გავრცელებულია ცრუმორწმუნოება. კარგი იქნება, ამ მავნე პირებს ყურადღებას მიაქცევდენ და ბოლოს მოუღებდენ მათგან ყრუ ხალხის ჯიბეში ხელის ფათურს.

⁂ დაბა ახალ სენაკიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ ჟამად სიმინდის ფასს ათ შაურამდე აუწევია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ დრეიფუსის ცნობილს ფირმას დაუწყია სიმინდის ყიდვა ამ კუთხეში.

⁂ ნოემბრის 27-ს კოჩეგარს ლუკა ჯავახაძეს ხაშურის სადგურზე დაუჭრია მარცხენა საფეთქელში ვაგონების გადამბმელი სიმონ წერეთელი.

⁂ ქალაქის ერთს მცხოვრებთაგანს ამ თვის 26 დაუქირავებია ს. გურჯაანელი გლეხი, რომლის პასპორტის „განსაკუთრებულ ნიშნების“ განყოფილებაში წერებულა: „ჭკუიდან შეშლილიაო“. დამქირავებელს მზარეული მაშინვე დაუთხოვნია. საკითხავია: თუ მართლა ჭკუიდან შეშლილია პასპორტის პატრონი, სულაც რატომ მისცეს პასპორტი და შესაფერი ჭირისუფლობა არ დაავალეს მის ნათესავებს და თუ უხუმრეს, ერთობ ბოროტი ხუმრობა მოსვლიათ.

⁂ მიხეილის სატეხნიკო რკინის გზის სასწავლებლის შეუძლო მოსწავლეთათვის დამხმარე საზოგადოების 1900 წ. ანგარიშიდან სჩანს, რომ საანგარიშო წელს მისი შეძლება ასულა 19304 მანეთამდე. წლის განმავლობაში შემოსულია 10.245 მ. დაუხარჯავს 7880 მ. თითოეული მოწაფის შენახვა დასჯდომია 18 მ. 25 კაპ. ამ ჟამად ფულად და სარგებლიან ქაღალდებათ აქვს—17,000 მანეთზე მეტი.

⁂ ამას წინად ტფილისის მოქალაქეს კერამო ხაჩატუროვს მოჰპარეს 1100 მან. 28 ნოემბერს პოლიციის პირველს ნაწილში უკვე დააპატიმრეს ორი დამნაშავე ერევნის გუბერნიის მცხოვრები გრიგოლ მურადოვი და ტფილისისა—ელიაზარ ვავილკოვი. დამნაშავენი გარდაეცა ტფილისის 1 განყოფილების გამომძიებელს.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს სერგო შარბაკიძეს 30 ნოემბერს პოლიციის მე-7 ნაწილში განუზრახავს ტფილისის მცხოვრების მიხეილ ალექსანდრეს ძის კილიაროვის მოკვლა და კიდეც დაუჭრია იგი. შარმაკიძის დასაჭერად ზომები იქმნა მიღებული. გამოძიება სწარმოებს.

---

# დამაკვირდი

—

მოხუცებულობა უვიცთათვის ზამთარია; სწავლულთათვის—დროა მომკისა.

სტეინბერგი.

—

ყველას ეშინიან სიბერისა და ყველას-კი უნდა სიბერემდე მიცოცდეს.

ბუასტი.

—

ვინც ეძიებს ჭეშმარიტებას—ჭკვიანია, ვისაც ჰგონია ვიპოვეო—სულელია.

გეტე.

---

## ხაჭირო მართალი გომარეთის სკოლაზედ.

(წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზედ ატეხილ ბაასის გამო).

„ბედი უნამუსო ქალია, ღარიბს სჩაგრავს, მდიდრის ეშხით მთვრალიაო“—ეს ანდაზა მომაგონდა, როცა წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზედ ატეხილ ბაასს გომარეთის სკოლაზედ ვკითხულობდი გაზეთებში. ბაასი დიდი არ იყო, მაგრამ დამხასიათებელი-კი ბევრი რამის... სდგება ვინმე ბ-ნი სურგულაძე და ამბობს: „ბათუმის სკოლაში 20 მოსწავლე მიუღიათ წელს მასწავლებელთ და ვერ-კი გასძღოლიან—დავკეტოთ გომარეთის სკოლა და იქ მივაშველოთ მასწავლებელიო“ და სხვა.

სწორედ რომ ჯერ-ჯერობით კიდევ ჩვენშია ეს შესაძლო!.. ორატორი საზოგადო კრებაზედ აზრთა მესვეურობს და იოტისტელად ვერ მოუნელებია ასეთი უგვანო ფაქტი: 40 ათასიან მცხოვრებთა ქალაქში ორი „პედაგოგი“ პატრონთა დაუკითხავად 200 მოსწავლეს ჰხენცავს და მის მაგიერ, რომ ეს, როგორც პედაგოგიის, ისე დისციპლინის და საზოგადო ეთიკის წინააღმდეგი მოვლენა გაკიცხოს, იგი რიხიანად გაიძახის: „დავკეტოთ გომარეთის სკოლა და მივაშველოთ მასწავლებელიო“!..

სკოლის დაკეტვა-გახსნას განა საბუთებზე დამყარებას ჰლამობენ ასეთი ლოღიკის ვაჟბატონნი?!—„რადგან გომარეთში შეგირდები არ დაიარებიანო“, გაუგონიათ, თუ თვით შეუთხზიათ ასეთი ფრაზა და ამათი დასკვნით საკმარისია დღეს სკოლა გაუხსნა სოფელს, ხვალ დაუკეტო... შეეკითხეთ გინდ მუნჯურ მეტოდაზე დაბმულ დალაბრა სოფლის პედაგოგს და იგიც-კი გეტყვით, რომ შესაძლოა რამდენიმე ხნით მოწაფენი არ დაიარებოდნენ სკოლაში, მაგრამ ამ სკოლის დაკეტვა-კი დიდი ცოდვა იყოს სინიდისის წინააღმდეგ და უშველებელი მარცხი საქმიანობის... საკმაოა მასწავლებელმა დროზე არ დაიწყო სწავლა, ავათ გახდა იგი, უვარგისი გამოდგა და მოწაფეთ ზურგი აღრიკეს — ერთი სიტყვით, ათას ასეთ წვრიმალს შეუძლიან შეაფერხოს მთელი წლით მოწაფეთა მიმოსვლა ძაან კარგად დაყენებულ სკოლაშიაც-კი. ასეთი ფაქტები სასკოლო ისტორიის უპრელებია და აჭრელებს დ҃ ამით დასაბუთება სკოლის დაკეტვის—სწორეთ რომ მასხარობაა...

ასეთ დალაბრა სოფლის პედაგოგს სიცილად არ ეყოფა თვით ბათუმის პედაგოგთა საქციელი... 2 არშინიანი საბანი გქონდეს და შენ 3 არშინზე ჰჭიმამდე დაუკითხავად ფეხებს—ეს ხომ პედაგოგიის პრინციპების არამცოდნესათვისაც უწესობაა... ასეთი პედაგოგიის ანბანი, რომ 60 ზევით მოწაფეს ერთი მასწავლებელი რიგიანად ვერ გაუძღვებაო, დალაბრა პედაგოგმაც-კი ათასი ცირკულიარული თავის მთავრობის მიერ მოწერილობიდან იცის...

— მაინც ძაღლის თავი ამ საქმეში იქ ჰმარხია, რომ ორატორმა შეხანხლა საიდანაც ეს ფრაზა: „გომარეთის სკოლაში მოწაფენი არ დაიარებიანო“. ეს სკოლა დაარსებიდან ჩემს ზედამხედველობის ქვეშაა და მე ვაწვდი ოფიციალურ ცნობებს, როგორც საზოგადოებას, ისე ეპარხიის საბჭოს და შეგირდები არ დაიარებიანო“, ასეთი ცნობა არავისთვის არ მიგვიწვდია. ან როგორ მივაწვდიდით, რომ დღესაც მშვენიერი ახლად აშენებული გომარეთის სკოლის შენობა შეგირდებით სავსეა. მასწავლებელი სკოლისა ბ-ნი გორდელაძე მუყაითად სწრთვნის მოწაფეთ და რომ პედაგოგიურ კვალს აუქციოთ, 200 მოწაფეს ჩვენც შევკრებთ დღეს სკოლაში, ოღონდ მატერიალური დახმარება აღმოგვიჩინონ; თუმცა-კი გომარეთში 3,000 სულია, ბათომში 40,000.

გომარეთის ავ-კარგი თუ ბ-ნ სურგულაძებისთანებს არა, ქართველ მკითხველ საზოგადოებას ბევრად, თუ ცოტად მაინც ეცოდინებათ. ეს ერთად ერთი სოფელია ქართველების, რომელიც შეჰრჩენია ოდესმე მჭიდროდ დასახლებულ სახელოვან საქართველოს ნაწილს თრიალეთს. დანარჩენ თრიალეთის ქართველთა ნანგრევებზედ დასახლებულან ბერძნები, თათრები, სომხები, დუხობორები, ნემცები... ბორჩალოს მაზრაში მარტო ეს 500 კომლიანი საზოგადოება ქართველობს. —ჯანსაღი, ზორბა მოყვანილობის, ზნეობით მტკიცე გომარელი ქართველი ამაყათ დაჰყივის თრიალეთს ქართული სიმღერით, თქმით, ქცევით—იგი სხვებისაგანაც-კი პატივცემულია. მომწყვდეულს და ქართველობას დაშორებულ გომარეთს ეს ოთხი წელია წერა-კითხვის საზოგადოებამ სკოლა დაუწესა და ამით თავის მრავალ მადლიან საქმეთა შორის, არა ნაკლები მადლი აქაც დათესა.

ღმერთი არ არის, ასე მალე დაკეტვა დაუქადონ?.. მართლა რომ მაშინ ბედი უნამუსო ქალი იქმნებოდა! გომარელი სადაც-კი გადაჰკრავს თავის სულადის არაყს ამ ორიოდ წელს, ქართველთა-შორის წერა-კითხვის საზოგადოების სადღეგრძელოს ატანს აუცილებლივ ზედ... უყვარს იგი, რომ სოფლის სადარი მშვენიერი სკოლის შენობა წამოუქიმათ საზოგადოებამ. უყვარს, რომ ზოგჯერ ისეთ მასწავლებლებს უგზავნის, რომელნიც დიდებსაც-კი ასწავლიან. ბ-ნმა მ. კლიმიაშვილმა, გარდა 60 მოწაფისა, ერთ წელს 42 დიდ-გომარელსაც შეასწავლა წერა-კითხვა...

---

წყლის ნაყვად გამოდის. მკითხველი პირლია შესცქერის ამ ვარჯიშს და არ იცის—სად სიმართლეა და სად სიცრუე. ანკი ვინ რას გაიგებს, როცა ჩვენებური პოლემიკა თითქო განგებ იმის ცდაშია, რომ მკითხველს გონება დაუბნიოს დ҃ თვალები აუხვიოს. დაუმატეთ ამას გაზვიადებული თავმოყვარეობა, ჩვენებური მამლაყინწაობა და მაშინ მთელი საპოლემიკო სურათი გექნებათ დახატული. მაგალითი ბევრი შემეძლო მომეყვანა, მაგრამ ამ ჟამად ერთს უნდა დავჯერდეთ.

◆ ◆

როცა Новое Обозрѣніе-ს აწინდელმა რედაქტორმა გაზეთი ხელთ იგდო, პირველადვე გამოაცხადა, ჩვენ მამლაყინწაობას (пѣтушиный бой) უარ-ვყოფთ და სამუდამოდ ვტოვებთო. ყველას ესიამოვნა,—ახლა-კი სერიოზული და საქმიანი ყამათი დაიწყებაო. მაგრამ გავიდა მცირე ხანი და Новое Обозрѣніе-ში ისევ მამლაყინწაობა გაბატონდა. ყველამ იცის, რომ ძმათა თუმანიანცთა დეზები და ყანწები თითქმის სრულიად გაუცვდათ ამ მამლაყინწაობისაგან. მაშ რა კეთილი დაეყრებოდათ, როცა ამოდენი უჩაკუნეს ხონელმა და მეტადრე ზოილმა!.. მაინც გულს არ იტეხენ და შემთხვევას არ უშვებენ, თავისს მეზობელს ფეხი წამოჰკრან. გულადობაზედ ხელის აღება ხომ თავის მოჭრა იქმნებაო...

ამას წინად Новое Обозрѣніе-ს მექრონიკემ წერა-კითხვის საზოგადოების კრების გამო ბაასი დაიწყო და ბევრი უმეცრება და ცილის წამება დაროშა. ძველ თაობის მოღვაწენი გარკვეულს არას წარმოადგენენ, თვით „ივერიის“ რედაქტორს გზა და კვალი დაბნეული აქვს,—ჯერ ლიბერალი და რადიკალი იყო, მერე „ნაროდნიკი“, შემდეგ ფეოდალი და ახლა დამჟავებული პატრიოტია, ველიჩკოსებურიო... ასეთი მტკნარი სიცრუე აღვნიშნეთ და განვმარტეთ დიდი ღვაწლი ძველ ქართველთ მოღვაწეთა. გზა და გზა, რასაკვირველია, გავშოლტეთ კიდეც ჩვენი არა მკითხე მექრონიკე. ლიტერატურულ შოლტს, როგორც სჩანს, მთავარი გონება სრულიად დაუბნევია მექრონიკესთვის და ახლა იგი ჰლამობს, თაღლითითა და ხრიკით ფონს როგორმე გავიდეს.

მკითხველს კარგად ეხსომება, რომ არც „ივერიას“ და არც კერძოდ ჩვენ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს წერა-კითხვის ძველ გამგეობის საქებრად და სადიდებლად. პირიქით, ჩვენ გამგეობის განახლებას ვთხოულობდით და აი რას ვსწერდით: „გამგეობის განახლების წინააღმდეგი არავინ არის და სწორედ საჭიროც არის განახლება“... „გამგეობა მარტო იმიტომ-კი არ უნდა გამოიცვალოს, რომ იქ იმყოფებიბიან ისეთნი, რომელნიც არ ეპრიანებათ მარკსიანებს. არა, ამ შემთხვევაში ადლი და ალაბი სხვა უნდა იყვეს. კანდიდატნიც შესაფერნი უნდა დაასახელონ“ („ივერია“, № 241). როცა არჩევნები გათავდა და გამგეობა განახლდა, ჩვენ სიხარულით მივეგებეთ ამ ამბავს ასეთის სიტყვებით — „მადლობა ღმერთს, რომ ახალგაზდობამაც ადგილი დაიჭირა გამგეობაში“ („ივერია № 252). მექრონიკე-კი ამდგარა და საზოგადოებას აუწყებს, რომ პლებსის ფელეტონში—„старое правленіе превозносится выше облака ходячаго“-ო... აი სწორედ ეს გახლავთ პოლემიკური ყომარბაზობა! მაგრამ რისთვის და ვისთვის არის საჭირო ეს უღირსი ხელობა? მერე მოჰყოლია მექრონიკე და პლებს „ბელიბერდას“ უკიჟინებს,—შენ მე ნაპოლეონ მესამეს შემადარეო... ვითომ თაკილობს კიდეც ასეთს შედარებას! ჰმ, ნაპოლეონ მესამე და... იშხან გეურქ!.. მოდი და ნუ ითაკილებს, რომ ასეთს კაცს გვერდზედ მოუყენეს?!.. მაშ სათაკილო არ არის,—ნაპოლეონ მესამემ, იულიუს ცეზარის ისტორია დასწერა, ძველ და ობ-მოკიდებულ წიგნებს კითხულობდა და Новое Обозрѣніе-ს მექრონიკე-კი „ცოცხალს თანამედროვებას“ მისდევს, „შაბლონს“ ერიდება და „თეორეთიულ საკითხებს“ ყურსაც არ ათხოვებს... ხუმრობა საქმე ხომ არ არის: ბოდიში ვიხდით! სასაცილო ისაა, რომ ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია უჩინარი და უხილავი მექრონიკე ნაპოლეონისთვის შეგვედარებინა... მხოლოდ ლიტერატურული პარალელი გავავლეთ და ეს მექრონიკეს შედარებად მოლანდებია, მაგრამ სულ ცხარე ლიტერატურულ შოლტის ბრალია. ასეთი აფორიაქება სცოდნია ამ წყეულს!...

ჩვენებურს პოლემიკაში კვეხნა და მტრაბაზობა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ყველას თავი მოაქვს მწვანე კიტრივით, ყველა თავისს პიროვნებას ეტრფიალება და ეარშიყება. მექრონიკეც ასე იქცევა. პლებსი შურის ძიებით ხელმძღვანელობს და მე-კი ყველაფერი წმინდა გულით და სუფთა ხელით დავწერე „ივერიის“ რედაქტორზედაო. 1879 წელს ჩემს „ალმანახში“ ისრე კრიტიკულად შევეხე ი. ჭავჭავაძეს, როგორც ახლაო. ჯერ ერთი—პლებს მექრონიკესთან არა ჰქონიარა და არც რამე ახლა აქვს შურისსაძიებელი. მეორე კიდევ—ვინ არ იცის, რომ მექრონიკე „ალმანახში“ სხვას სწერდა და „Новое Обозрѣніе“-ში სულ სხვას სწერს. მაშინ ეს ვაჟბატონი ჯერ ისევ ქართველობდა. როცა ფერი იცვალა და „წიწერნაკის“ სიმღერას მოჰყვა აი სწორედ იმ დროიდგან დაიწყო სხვანაირად წერა ჩვენს მოღვაწეებზედ. ტრაბახი რა საჭირო იყო, ის უფრო არ სჯობდა, რომ აგელოთ კალამი და გეუწყებინათ ქართველ მკითხველისთვის—როგორ და რად მოხდა ეს მეტამორფოზა. განა ეს მეტამორფოზა ყურადღების ღირსი არ არის?

Plebs.

ბ-ნ სურგულაძეს უპასუხეს, მაგრამ მცირედ და ისიც არა საქმის საბუთებით... ასეთი მსვლელობა პატივცემულ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ დაწყობილ საქმეებისა მოვალედ მხდის ერთი რჩევა წარმოვთქვა: უცილობლივ საჭირო საზოგადოებამ პედაგოგიის მცოდნე სამუდამო რევიზორი იყოლიოს, რომელმაც გონივრულად სკოლების წარმატებისათვის უნდა იზრუნოს ხოლმე და ყოველივე სკოლის შესახები სამართლიანი საბუთები ხელთ იქონიოს; თორემ წლიურ კრებებზედაც და ისეც არა ერთი ვაჟბატონი მათ შორის გააკვირვებს ქვეყანას ამ ანდაზის პრინციპის მიმდევნელობით: „нѣтъ ничего храбрѣе невѣжества"-ო.

მღვდ. ზ. გულისაშვილი.

## უცხოეთი

—

**სამხრეთ-აფრიკის ომი.** ინგლისის ცენზურა სამხრეთ-აფრიკიდგან არც ერთ კერძო დეპეშასა და ცნობას არ უშვებს. უკანასკნელ ექვსის თვის განმავლობაში აღარც ერთ გაზეთს არ მიუღია საკუთარ კორესპონდენტთაგან ცნობანი. დანიშნულებას თითო-ოროლა წერილი თუ აღწევს, ისიც მაშინ, როდესაც აფრიკიდგან ევროპაში მიმავალ ნაცნობს გამოატანენ ხოლმე. ერთი ასეთი წერილი ამას წინად მიუღია პარიჟელ გაზეთს. როგორც წერილის ავტორი იუწყება, ბოტას გამოუცხადებია, რომ ომი ხუთ წელიწადს კიდევ გასტანსო. იქამდე მივიყვანთ და ისე გაუჭირებთ საქმეს ჩვენ მტერს, რომ ბოლოს იგი მოჰკრებს თავის ბარგი ბარხანას და სრულიად წავა სამხრეთ-აფრიკიდგანაო. იმავე წერილის ავტორის სიტყვით, როგორც ბოტას გამოუანგარიშნია, ომის დაწყებიდგან დღემდე ბურების მხრივ მომკვდარა სულ 2,800 კაცი ინგლისელების ანგარიშით-კი ბურების დანაკლისი 100 ათას კაცს აღემატება! ბურები იმდენად წათამამდნენ ამ ბოლოს დროს, რომ ინგლისის მთავარ ბანაკის—პრეტორიის თავს დასხმასაც-კი არ ერიდებიან. ამას წინად პრეტორიის მახლობლად, ორის თუ სამის ვერსის მანძილზედ ქალაქიდგან, ბურებს დაუწვავთ ინგლისელთა ურმები, სურსათით დატვირთული.

— ომი რომ ძალიან გაჭიანურდება, ამას თვით ინგლისელნივე აღარა ჰყოფენ უარს. სამხედრო სამინისტრომ ყველაფერი გაჰგზავნა სამხრეთ აფრიკაში, რაც-კი კარგი და გამოსადეგი იყო ომისათვის. ასე გასინჯეთ, ინდოეთსა და ახალ-შენებში მეცხოვნენიც-კი შეამცირა და იქაური ჯარი სამხრეთ აფრიკაში გაჰგზავნა. ამ გარემოებამ ძალიან დააფიქრა და დააძმარა ინგლისელნი. ამას წინად კაპიტალისტთა ერთმა ჟურნალმა დაბეჭდა წერილი, რომელმაც ყველას ყურადღება მიიქცია. ავტორი ამბობს, რომ ეს ომი გვღუპავს და გვანადგურებსო. იგი ყოველ დღე ჩვენ საუკეთესო შვილთ ისტუმრებს საიქიოსკენ, დიდძალ ფულს გვაცლის ხელიდგან, დასასრული-კი არსად უჩანს. უნდა უკანასკნელი ძალა მოვიკრიბოთ და როგორმე გავათავოთ იგიო. ომის დასამთავრებლად, ავტორის აზრით, საჭიროა მთელს იმპერიაში თავი მოუყარონ საუკეთესო ცხენოსანთ და თოფის მსროლელთ და მიაშველონ ეს ახალი მეომარნი კიტჩენერს. გაზეთი სთხოვს ყველას, ფული არ დაზოგონ და ამ საქმეს შეეწიონ რამე. თვით რედაქციამ 26,250 ფრანკი გადასდო. გააწყობს რასმეს თუ არა ინგლისი ამ რიგად შეკრებილ ჯარით—ამის გამოცნობა მკითხველისათვის მიგვინდვია.

— ახალ ჯარის გაგზავნას საჭიროებას მეორე გაზეთი, ,,Daily News''-იცა სცნობს. მაისსა და ივნისში, სწერს გაზეთა, თუ ბოლო არ მიეღო ომს, ინგლისელები დიდს გაჭირვებაში ჩავარდებიან, რადგანაც სამის წლის აფრიკაში ყოფნის შემდეგ ინგლისის მეომარნი ისე დასუსტდებიან და მოუძლურდებიან იქაურ ჰავისა და სხვა მიზეზებისაგან, რომ ომის განგრძობას ველარ შესძლებენო. აფრიკის ზაფხულ მეტად ცუდად მოქმედებს თურმე ინგლისელებზედ, ისე თვე არ გავა, რომ რამდენიმე ასი კაცი წუთისოფელს არ გამოესალმოს. ამიტომ გაზეთის აზრით, საჭიროა ახალი ჯარი გაიგზავნოს, რომ კიტჩენერმა მაისამდე შესძლოს ომის დამთავრებაო.

— სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, სწერს ,,Daily News''-ი, რომ ინგლისის მთავრობა ამ ჟამად არა ოფიციალურად სცდილობს ბურების წინამძღოლებთან მოლაპარაკებას ზავის შესახებაო.

**ინგლისი.** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, 21 ნოემბერს დერბში კრება ჰქონდა სალიბერალო დასის ფედერაციას. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია: დადგა დრო მოლაპარაკება დავიწყოთ ბურებთან ზავის ჩამოსაგდებად. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული კომისსია გაიგზავნოს სამხრეთ-აფრიკაში. ამავე რეზოლიუციაში პროტესტია გამოცხადებული კაპის ახალშენში დროებით კონსტიტუციის გაუქმების გამო. დასასრულ ლიბერალთა მთავარმა კომიტეტმა ნდობა გამოუცხადა თავის ლიდერს კემპბელბანერმანს.

— ინგლისში ბევრნი უჩივიან დღეს ბრიტანიის ვაჭრობის დაცემას. გაზეთებმა წერილები დაჰბეჭდეს ამის გამო. მხოლოდ გავლენიანი „Times"-ი სდუმდა და ეხლა იმანაც ამოიღო ხმა. „კრიზისი ინგლისის მრეწველობისა"—ამ სათაურით იბეჭდება ეხლა წერილი გაზეთში. ავტორი ციფრებით ამტკიცებს, რომ ინგლისის მრეწველობა დიდი გასაჭირი დაუდგა და მომავალშიაც დიდი განსაცდელი მოელის.

— ამას წინად ინგლისში გარდაიცვალა ედუარდ-ეირი, რომელიც 1862—1865 წლებში კუნძულ იამაიკის გუბერნატორად იყო. 1865 წელს ეირმა ჩააქრო აჯანყება და ისეთი სისასტიკით მოიქცა ამ დროს, რომ მთელი ინგლისი აალაპარაკა. გააუქმა რა კონსტიტუცია, ეირმა რამდენსამე კვირაში 400 ზანგი დაჰხვრიტა, 600 გაამათრახა და 1000 სახლი გადაწვა. ამ სისასტიკის გამო გავრცელებულმა ხმამ დიდი პოლემიკა გამოიწვია შესანიშნავ მწერალთა შორის. კარლეილმა, კინგსლეიმ და რესკინმა ეირის მხარე დაიჭირეს, ხოლო ჯონ-სტუარტ მილმა, სპენსერმა და გეკსლიმ—ზანგებისა. დარვინმაც ამოიღო ხმა ეირის წინააღმდეგ. მილლის მოთხოვნილებით ეირი სამართალში მისცეს. გაირჩა იმისი საქმე, მაგრამ ბოლოს 1872 წელს, მაინც გაამართლეს.

**გერმანია.** რაც დრო და ხანი გადის, საბაჟო ტარიფი უფრო და უფრო ცხარე კამათს იწვევს დეპუტატთა შორის. თან-და-თან ირკვევა, რომელი დასი როგორის თვალით უყურებს ტარიფს. კლერიკალებს გადაუწყვეტიათ ნეიტრალურ პოლიტიკას დაადგნენ და საქმეში მხოლოდ მაშინ ჩაერივნენ, როდესაც სატარიფო კომისია მოხსენებას წარადგენს. როგორცა სჩანს, ისინი მარჯვე დროს ელიან და როდესაც მთავრობა დახმარებას მოსთხოვს, ეჭვი არ არის, თავიანთ სასარგებლოდ ეცდებიან გამოსცინცლონ რამ. საოპოზიციო დასებმა—რადიკალებმა და სოციალისტებმა—გადასწყვიტეს შეებრძოლონ მთავრობას და ნება არ მისცენ პროექტის განხორციელებისა. ამბობენ, რომ ოპოზიცია ობსტრუქციასაც-კი არ მოერიდებაო. აზრადა აქვთ მოსთხოვონ პარლამენტს პროექტის ყველა მუხლის ცალკე განხილვა და ამ დაუსრულებელ მუშაობის დროს, აწონ-დაწონონ საქმეები. იმპერიის კანცლერს, რომელიც ეხლავე კარგად ჰგრძნობს გასაჭირს, მოლაპარაკება აქვს თავის მომხრეებთან იმის შესახებ, თუ როგორ მოაგვარონ და მოაწყონ საქმე. ყველაზედ დიდი წინააღმდეგნი ახალის ტარიფის სოციალ-დემოკრატნი არიან. არც საკვირველია: ახალის ტარიფის შემოღება ყველაზედ მეტად მუშებს მოუტანს ზარალს, რადგანაც, სხვა რომ არა იყოს-რა, პურის ფასი აიწევს. პეტიციაზედ, რომელიც მუშებმა და ღარიბებმა პარლამენტს გადასცეს, რამდენსამე მილიონ კაცს უწერია ხელი, ასე გასინჯეთ. ეს პეტიცია ფურგუნით მიიტანეს პარლამენტში, რადგანაც იგი 90 ფუთს იწონის.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)"

29 ნოემბერი.

**ეკატერინოსლავი.** საღამოდან მოკიდებული შუაღამემდის საშინელი თოვლის ბუქი იდგა; ბევრი ტელეგრაფის ბოძები წააქცია, ელექტრონის ძაფები დაგლიჯა, ტელეფონის მოქმედება შესწყდა; ელექტრონის განათებაც შესწყდა. ტელეფონის ბოძმა წაქცევის დროს მოჰკლა სამი ცხენი და დააშავა მეეტლე; ქალაქი თოვლით არის დაფარული; რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია.

**ხარკოვი.** წარსულს ღამეს კურსკისა და ხარკოვის რკინის გზის სადგურებს ლიხაჩევოსა და პავლოგრადს შუა დიდი თოვლის ქარიშხალი იყო; სამგზავრო მატარებლების სწორი მიმოსვლა თოვლის ზვავებისა გამო შეწყვეტილა.

**ვაშინგტონი.** ბუენოს-აირესიდგანა და სანტ-იაგოდგან გეიმ დეპეშა მიიღო, რომ არგენტინის რესპუბლიკასა და ჩილის შუა ატეხილი სასაზღვრო დავა მართლა გამწვავებულია თურმე, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ომი მაინც არ მოხდებაო.

**ბუენოს აირესი.** 1-ლ იანვრისათვის 60,000 სათადარიგო ჯარის კაცია იარაღის ასასხმელად მოწვეული.

**ლონდონი.** როგორც „Standard"-ს ატყობინებენ შანხაიდგან, რობერტ გარტს ტახტის მემკვიდრის მეორე აპეკუნის ტიტული თურმე მიუღია.

„Times" იუწყება, რომ ასეთივე ტიტული მიუღიათ აგრეთვე ჯანჩი-ტუნგს, იუანშიკაისა და ჩანგტიენს.

**სტოკჰოლმი.** თავისს რეფერატში პროფესორმა ბერინგმა განაცხადა გუშინ საღამოთი, რომ მისმა ცდამ პასტერის მეტოდით აცრისამ საქონლის ჭლექის იმმუნიტეტი (აცრით სენის მხრივ უზრუნველყოფა) სრულიად გაამართლა. ბერინგს განზრახვა აქვს საქონლის ჭლექის წინააღმდეგ ამ საგნის პრაქტიკულად ცდას ნობელის პრემია მოახმაროს.

**ბერლინი.** დიდმა მთავარმა სერგეი ალექსანდრეს ძემ თავისის მეუღლითურთ ჩამოსვლისათანავე იმპერატრიცა ინახულა პოტსდამში და საღამოთი კილს წავიდა.

**ბერლინი.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ გუშინ იმპერატრიცის საუზმეს დაესწრო ახალს სასახლეში.

**ნოვოჩერკასსკი.** წარსულს ღამეს ნოვოჩერკასსკში საშინელი ქარიშხალი ავარდა: ბევრს ადგილას სახლებს სახურავები აჰყარა, ღობეები დაგლიჯა, შუშები დაამტვრია, ბუხრები დააქცია და სხ.

**ბაქო.** საბუნჩაშიაც იწყო მუშაობამ შეჩერება. ნავთის სამრეწველო საზოგადოება ,,ვოტარანი'' მთლად დაიკეტა, მუშები დაითხოვეს. ნავთზედ ფასის დაკლება და უმუშაობა ჯერ არ შეწყვეტილა. ამბობენ, რამდენიმე სხვილი ნავთის მექარხნე უკვე შეთანხმდა, რომ ნობელთანა, როტშილდთანა და მანთაშევთან პირობა შეჰკრან და რუსეთის ნავთი საზღვარ-გარეთ გაიტანონ.

**პეტერბურგი** „Русскій Инвалидъ"-ში დაბეჭდილია: „ახალი დებულება „ოფიცრების ქორწინების შესახებ ძალაში შევა 1902 წლის 1-ლ იანვრიდგან. იმ დრომდის-კი ქორწინების ნებართვა ისევ ძველის დებულებისამებრ უნდა მოხდეს ხოლმეო".

**განჯა.** 28 ნოემბერს, დილის 7 საათზედ, შუშაში ჩამოახრჩეს საპატიმროს ეზოში სამხედრო სამართლით გასამართლებელი ყაჩაღი მეშადი-ველი-ჰაჯი-გაშიმ-ოღლი, რომელსაც მრავალი მკვლელობა და სხვა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

**კონსტანტინოპოლი.** იერუსალიმის სომეხთა პატრიარქის აქაური წარმომადგენელი ერეზიანი კვლიკიის კათალიკოსად იქმნა ამორჩეული.

**რომი.** პალატა. სამხრეთ პროვინციების მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ კამათის დროს ცანარდელიმ განაცხადა, რომ სავაჭრო ხელშეკრულობას გერმანიასთანა და ავსტრიასთან შეთანხმებით აქაურ ნაწარმოებთათვის მთავრობა უთუოდ სახეიროდ მოაწყობს. იმედი აქვს მთავრობას აგრეთვე იმისი, რომ რუსეთთანა და ბრაზილიასთან მოლაპარაკებასაც შეთანხმება მოჰყვება.

**კიევი.** შაქრის ქარხნების პა-რონთა საზოგადოების გამგეობ კრებაზედ დაუდგენიათ იშუამდგომლონ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ნება მიეცესთ ამ წელს დამზადებულ თავისუფალ შაქრიდგან მომავალის წლისათვის გადასდონ არა 8%, როგორც ეს სამინისტრო მიერ დადგენილია, არამედ უფრო მეტი, ანუ იმდენი, ვისაც რამდენის გადადება შეეძლება. შუამდგომლობის მიზეზად იმ გარემოება ასახელებენ, რომ საზღვარ გარე წრეულ შაქრის ბაზარი კარგი ვე არის და ფასებიც დაწეულია; ამისათვის შაქრის საზღვარ-გარეთ გატანის დროს დიდს ზარალში ვარ თო. როგორც ხმა დადის, შუამდგომლობა უკვე დაუწყვიათ და იმედიცა აქვთ, რომ განხორციელდება.

**განჯა.** განჯისა და სიღნაღი მაზრის საზღვარზედ პოლიციასა დ ყაჩაღებს შორის ატეხილ სროლი დროს მოუკლავთ ერთი და დაუ ჭერიათ ხუთი ყაჩაღი. ამასთანავე მიწაში ჩაფლული იპოვნეს 16 სუ ლი საქონელი.

**დონის როსტოვი.** 30 ნოემბერს, ღამით, „როსტოვის ოლქში საშინელი ქარიშხალი ავარდა. მრავალს სახლს ჩარდაგები აჰყარა, მდინარემ ბევრი ნავი გამორიყა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი** ოლქის სა სამართლომ პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკის საჩივარი დობროვისა და ნაბგოლცის ადმინისტრაციაზედ 150,000 მანეთის შესახებ გაარჩია, გირავნობის ქაღალდი ყალბად იცნო და საჩივარზედ ბანკს უარი უთხრა.

**პარიჟი.** პალატა. ვიკიანი დაეკითხა მინისტრს პროფესსორი ერვიე რად გადააყენეთო. საერო განათლების მინისტრმა უპასუხა ამაზედ, რომ ერვიეს მოძღვრება ახალ გაზრდობის აღმზრდელის მდგომარეობას არ შეეფერებოდაო. პალატამ 412 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 65-ისა გარდასწყვიტა, რომ მინისტრის სიტყვა ყველგან გააკრან და 385 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 86 გარდასწყვიტა, რომ მორიგს საქმეებს შესდგომოდნენ.

**ბერლინი.** კამისიის უმეტესობა, რომელსაც საბაჟო გარდასახადის განხილვა არის მინდობილი, უთუოდ იმას მოითხოვს, რომ საბაჟო გმრდასახადს მოემატოსო.

**ლონდონი.** „Times"-ის მიერ ვალპაროიზოდგან მიღებულ ცნობებით, გამოუქვეყნებიათ თურმე ბრძანება, რომ 30,000 ჯარის-კაცი იქმნეს მიწვეული მთის ვასავალ ადგილების დასაცველად.

სააგენტოს ატყობინებენ ნიუორკიდგან: როგორც ბუენოს-აირებიდგან იუწყებიან, პალატას თავისს საიდუმლო სხდომაზედ მილიციის მოსაკრებად სესხის აღებაზედ თანხმობა თურმე განუცხადებია.

## განცხადება

**სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში** 5 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, **მეორედ მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომ 1902 წლის პირველ იანვრიდგან 4 წლის ვადით იჯარით გაიცეს ქ. ტფილისის მე-VIII ნაწილში, რიყეზედ მდებარე სემინარიის სტრახტირო შენობა ბაკითურთ. ამ ჟამად იჯარის ფულს სემინარია წელიწადში 1226 მან. იღებს. პირობების გაცნობა და ნახვა შეიძლება ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, სამზრუნველოს კანცელარიაში დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველამდე.

(1—246—1).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го Декабря 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.